

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## საქართველოს კანონი

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ,, საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე” კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა.ა) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზეზი

კანონში ცვლილებების მიზეზია „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ,, საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

ა.ბ) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზანი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწა.

ა.გ) ცვლილებებისა და დამატებების ძირითადი არსი

მოცემული ცვლილებების მიხედვით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტების შემთხვევაში გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება იწყება სასამართლოს მიერ გაკოტრების ან და რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების საფუძველზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების რეგისტრაციის მომენტიდან.

ბ) ცვლილებებისა და დამატებების ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ცვლილებებისა და დამატებების მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) ცვლილებებისა და დამატებების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

**ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**გ) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება ევროკავშირის ღირეპქტივებთან**

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეპქტივებს.

**გ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

ცვლილებებისა და დამატებების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) ცვლილებებისა და დამატებების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში**

ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.